



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
26 თებერვალი, 2016

2016 წლის იანვარში, გარდაბანში 3 მეგვტ სიმძლავრის ბიო-თბოელექტროსადგურის აშენებასთან დაკავშირებით ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმებისამებრ, ქართულმა კომპანიამ, ალტ-ენერჯი, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება 2016 წლის სექტემბრისთვის უნდა დაასრულოს. წლიური გამომუშავება წინასწარ 25.9 გვტ/სთ-ით (ქვეყნის წლიური მოხმარების 0.3% 2015-ში) განისაზღვრა. გარდაბნის ბიო-თბოსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 50% ექსპლუატაციაში გაშვებიდან პირველი 10 წლის მანძილზე ექსკლუზიურად ქართულ ბაზარზე დარჩება. ბიო-თბოსადგური ელექტროენერგიას უმეტესწილად ბიომასისა და კომპოსტის წვის ხარჯზე გამოიმუშავებს.

თურქულ-ქართულმა ერთობლივმა საწარმომ, ჩალივ ჯორჯია ვინდი (CGW), შიდა ქართლსა (50 მეგვტ) და იმერეთში (150 მეგვტ) ქარის ელექტროსადგურების პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება დაასრულა. CGW თურქული კომპანია ჩალივ ენერჯისა და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის (GEDF) მიერ არის დაფუძნებული. შემდეგ ეტაპზე, CGW-მ 2016 წლის პირველი კვარტლის ბოლომდე, ქარის სისწრაფისა და კლიმატური პირობების შესწავლის მიზნით მეტეოროლოგიური ანძები უნდა დაამონტაჟოს ორივე რეგიონში. საქართველოში ქარის პოტენციალით მხოლოდ ჩალივ ენერჯი არ არის დაინტერესებული. თურქული მენეჯმენტის ქვეშ მყოფ ენერგო ვინდფაუერ ლიმიტედს (EWL) საქართველოს მთავრობასთან ხელი აქვს მოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმზე ქარის რამდენიმე პროექტზე. ურთიერთგაგების მემორანდუმი მოიცავს კომპანიის მიერ ქარის მონაცემების შესწავლას ფოთში, ქუთაისში, ჭოროხში, საბუეთში, გორში, კასპში, სამგორში, რუსთავში, ფარავანსა და ახალქალაქში 37 თვის განმავლობაში და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას. ინვესტიციის წინასწარი ღირებულება, თუ ყველა ზემოხსენებული პროექტი განხორციელდა, 1.4 მლნ აშშ დოლარით არის განსაზღვრული. პროექტის წინა მოსამზადებელ პერიოდში კომპანიის მონაცემებით, დაახლოებით 5-დან 7 მლნ აშშ დოლარამდე უნდა დაიხარჯოს. საქართველოში პირველი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა გორთან ახლოს 2016 წლის მარტში დაიწყება და 2016 წლის სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს. გორთან მდებარე ქარის ელექტროსადგურის პროექტს GEDF ფლობს. ელექტროსადგურის სიმძლავრე 20.7 მეგვტ-ით არის განსაზღვრული და წლიური გამომუშავების საგარეუდო რაოდენობა 88 გვტ/სთ იქნება. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 34 მლნ აშშ დოლარია.

გარდაბანში ახალი 500 მეგვტ სიმძლავრის თბოსადგურის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება დასრულდა. კვლევა GEDF-მა ბელგიურ საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანიას, Tractebel Engineering S.A.-ს დაუკვეთა. პროექტის შემდეგი ფაზა კონსულტანტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას ითვალისწინებს.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

ელექტროენერგიის მოხმარება ქვეყნის შიგნით 2016 წლის იანვარში წლიურად 0.7%-ით არის გაზრდილი. თელასის მოხმარება, რომელიც თბილისის და მიმდებარე ტერიტორიას ემსახურება, წლიურად 8.3%-ით არის გაზრდილი. თელასის მოხმარებამ იანვარში განაწილების ლიცენზიანტების მოხმარების 37.1% შეადგინა. რეგიონების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია უმნიშვნელოდ, მხოლოდ 0.5%-ით არის გაზრდილი. რეგიონებს ელექტროენერგიით უმეტესწილად ენერგო-პრო ჯორჯია ამარაგებს, რომლის მოხმარების წილმაც განაწილების ლიცენზიანტების მოხმარების 58.6% შეადგინა. 2016 წლის იანვარში მნიშვნელოვნად არის შემცირებული კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია. აღნიშნული კლება, რომელმაც 25.4% შეადგინა, უმეტესწილად ჯორჯიან მანგანუის გამო მოხდა. კომპანიის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28.3%-ით არის შემცირებული. აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერგიის მოხმარების ტენდენცია კვლავაც მზარდია; იანვარში 7.7%-იანი წლიური ზრდა დაფიქსირდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარებამ ქვეყნის შიგნით მოხმარებული ელექტროენერგიის 23.3% შეადგინა. აფხაზეთის ელექტროენერგია ექსკლუზიურად ენგურისა და ვარდნილის ელექტროსადგურებიდან მიეწოდება. იანვარში მარეგულირებელი ჰესების გამომუშავებული ელექტროენერგიის 93.7% აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

იანვარში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი	5.5 აშშ ცენტ
საქართველოში*	კვტ/სთ-ზე
იანვარში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი	5.2 აშშ ცენტ
თურქეთში*	კვტ/სთ-ზე
იანვარში ექსპორტირებული ელექტროენერგიის	4.0 აშშ ცენტ
საშუალო ფასი**	კვტ/სთ-ზე
იანვარში იმპორტირებული ელექტროენერგიის	4.9 აშშ ცენტ
საშუალო ფასი*	კვტ/სთ-ზე
შიდა მოხმარების ზრდა იანვარში, კვტ/სთ	0.7%
ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდა იანვარში, კვტ/სთ	ექსპორტი არ ფიქსირდება
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის	ექსპორტი არ ფიქსირდება
ზრდა იანვარში, კვტ/სთ	ფიქსირდება

* საშუალო გაცვლითი კურსი იანვარში GEL/US\$ = 2.4360; TRY/US\$ = 3.0070

**2015 და 2016 წლებში ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო, თუმცა საკმარისი იმისათვის რომ საშუალო საექსპორტო ფასი განგვესაზღვროს

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693


თამარ ქურდაძე

ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.




გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი



წყარო: ესკო


გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, ავზაზეთის რეგიონი



წყარო: ესკო


ქვეყნის შიგნით გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა იანვარში წლიური 9.3%-ით გაიზარდა და იმპორტირებული ელექტროენერგიის ნაწილი ჩაანაცვლა. თბოელექტროსადგურების გამომუშავება 14.5%-ით არის გაზრდილი (უმეტესწილად ახლადჩართული გარდაბნის თბოსადგურის ხარჯზე), ჰიდროსადგურების გამომუშავება კი 6.7%-ით. იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა 43.9%-ით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით და, მაშინ როდესაც იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი გასულ წელს 15.8% იყო, წელს ამ მაჩვენებელმა 8.8% შეადგინა. საბოლოო ჯამში, საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობამ რუსეთიდან 89.7 გვტ/სთ (-21.9% წ/წ), სომხეთიდან კი 3.4 გვტ/სთ (-93.4% წ/წ) შეადგინა. იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი კილოვატ საათზე 4.9 აშშ ცენტით განისაზღვრა.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ/სთ




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

თურქეთის ბაზარზე ელექტროენერგიის ფასები კვლავ მცირდება. საბაზრო ფასები, დოლარში გამოსახული, წლიურად 32.5%-ით შემცირდა იანვარში და კვტ/სთ-ზე 5.2 აშშ ცენტი შეადგინა. ფასები შემცირებულია თურქულ ლირაშიც (-12.8% წ/წ). იანვარში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოშიც შემცირდა (-19.9% წ/წ). ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა იანვარში უმნიშვნელო იყო, რაც იანვარში ქართულ ბაზარზე ელექტროენერგიის დეფიციტით არის გამოწვეული (რაც თავის მხრივ ზამთრის თვეებს ზოგადად ახასიათებს).




გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი

* ელექტროენერგიის ექსპორტი 2015 და 2016 წლების იანვარში უმნიშვნელო რაოდენობის იყო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შუამავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირაკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადვარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რამდენიმე უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადვარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაკემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთხოვნიდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი

ევა ბოჰორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი

ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი

გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი

დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი

თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge